მე მომწონს

წიგნის შესახებ

ტექსტის ტიპი:	ინფორმაციული / არამხატვრული
ტექსტში სიტყვების რაოდენობა:	35
კითხვის დონე:	1-ლი
ტექსტის მოკლე შინაარსი:	საკუთარი სურვილების გამოხატვა. რა მომწონს მე?

გაკვეთილის მიზანი:

მოცემული ტექსტის („მე მომწონს“) გაგება-გააზრება; საკუთარი სურვილის, მოწონების გამოხატვის სწავლება.

გაგება / გააზრება:

- ტექსტის მთავარი იდეის ამოცნობა.
- საკუთარი სურვილის/ მოწონების/სიმპატიის გამოხატვის სწავლა.
- სიტუაციური / კონტექსტური კავშირების იდენტიფიცირება ტექსტში:

ცეკვა → ქართული ცეკვა → [illegible]ლებაზე ცეკვა

ლექსიკა და გრამატიკა:

ლექსიკა	გრამატიკა
1.ახალი ლექსიკური ერთეულების იდენტიფიცირება ტექსტში და მათი დასწავლა (მაგ. წვეულება); 2.ლექსიკური ერთეულების ჯგუფების გამოყოფა (მაგ. ლექსების კითხვა); 3.გამოთქმების, ე.წ „ბლოკური სიტყვების“ დასწავლა (მაგ. „მე მომწონს“).	1.ტექსტში თანდებულების იდენტიფიცირება და დასწავლა; 2.კონსტრუქციის „მე მომწონს“ + არსებითი სახელი სახელობით ბრუნვაში“ ახსნა-გააზრება; 3. „მომწონს“ ზმნის უღლება პირველი, მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელებთან მხოლობით რიცხვში; საკუთარი და სხვისი სიმპატიის გამოხატვის სწავლება.

სტრატეგიები და მეთოდები:

ტექსტის გაგება/აღქმის მხარდასაჭერად კითხვა-პასუხისა და თვალსაჩინოების მეთოდების გამოყენება.

რესურსები:

1. წიგნი - „მე მომწონს“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის);
2. დაფა, ცარცი;
3. ბარათები პიქტოგრამებისა და იდეოგრამების გამოსახულებებით.

უცხო სიტყვები:

წვეულება, ბურთი, თამაში, ცეკვა, კითხვა.

ტექსტის გაგება / გააზრება - ტექსტის მთავარი იდეის ამოცნობა.

საკუთარი სურვილის/ მოწონების/სიმპატიის გამოხატვის სწავლა.

სიტუაციური/ კონტექსტური კავშირების იდენტიფიცირება ტექსტში.

საგაკვეთილო აქტივობები

გაგების უნარი/ ტექსტის მთავარი იდეის ამოცნობა.

1. აუხსენით მოსწავლეებს, რომ ყველა ტექსტს აქვს მთავარი და არამთავარი იდეები. მთავარი იდეა ყველაზე მნიშვნელოვანია ტექსტში. არამთავარი (მეორეხარისხოვანი) იდეები მკითხველს ტექსტის გაგებაში ეხმარება. უთხრით, რომ ხშირად ტექსტის მთავარი იდეა ტექსტის სათაურშივეა გამოხატული. სთხოვეთ, კიდევ ერთხელ წაიკითხონ ტექსტის სათაური და გამოთქვან საკუთარი აზრი, რა შეიძლება იყოს მოცემული ტექსტის მთავარი იდეა.
2. აუხსენით, რომ ტექსტი სიტყვების გარდა ნახატებისგანაც შედგება. ნახატები გვეხმარება ტექსტის კარგად გაგებაში.

საკუთარი სურვილის, მოწონების/ სიმპატიის გამოხატვისთვის საჭირო ტერმინოლოგიისა და გამოთქმების დასწავლა

1. ტექსტის უკეთესად აღქმისათვის გამოიყენეთ იდეოგრამები და პიქტოგრამები.

   „მე მომწონს“ - იდეოგრამა, გამოსახული ბარათზე, გააკარით დაფაზე. სთხოვეთ, გამოთქვან საკუთარი აზრი: რას ეუბნება მათ ეს გამოსახულება. განიხილეთ განსხვავებული იდეები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აუხსენით მათ იდეოგრამის მნიშვნელობა.

2. გააცანით „მე მომწონს“ გამოთქმის საპირისპირო მნიშვნელობაც, „მე არ მომწონს“ და აჩვენეთ მათ ბარათზე გამოსახული შესაბამისი იდეოგრამა -

3. ტექსტის კითხვის დროს გამოიყენეთ პიქტოგრამები ტექსტში მოცემული ლექსიკური ერთეულების უფრო კარგად გასაგებად. მოსწავლეებს აჩვენეთ ცეკვის, ქართული ცეკვის, წვეულებაზე ცეკვის გამომხატველი პიქტოგრამები. სთხოვეთ, დაუკავშირონ მოცემული პიქტოგრამები ტექსტში წაკითხულ ინფორმაციას.

4. წაახალისეთ, გამოთქვან საკუთარი სურვილები და სიმპათიები, რა მოსწონთ, რა უყვართ. დაუსვით კითხვები: შენ რა მოგწონს? მას რა მოსწონს?

5. ყურადღება მიაქცევინეთ მოსწავლეებს სიტყვის „მომწონს“ მომდევნო სიტყვების ფორმების განსხვავებებზე (მაგ. მე მომწონს ცეკვა, მე მომწონს წვეულებაზე ცეკვა...).

6. წაახალისეთ, იმსჯელონ და გამოიტანონ დასკვნები, როდის და რა ფორმით მოსდევს ზემოხსენებული სიტყვა ფრაზას „მე მომწონს...“.

კონტექსტური კავშირების იდენტიფიცრება ტექსტში

1. დაწერეთ დაფაზე სიტყვა „ცეკვა“, მის გვერდით გააკარით შესაბამისი პიქტოგრამა. ჰკითხეთ, რა ტიპის ცეკვებს იცნობენ, ან რომელი ცეკვა იციან თვითონ. წაახალისეთ, გამოთქვან საკუთარი აზრი ზოგადად ცეკვის შესახებ.

ცეკვა

2. დაწერეთ დაფაზე „ქართული ცეკვა“; ახსენით, რომ არსებობს სხვადასხვა ეროვნული ცეკვა და ყველა ქვეყანას თავისი ეროვნული ცეკვა აქვს: ლათინური ცეკვა, უკრაინული ცეკვა, უნგრული ცეკვა და სხვა...

3. სთხოვეთ, დაასახელონ მათთვის ცნობილი სხვა ეროვნული ცეკვაც;

4. ახსენით, სად შეიძლება ქართული ცეკვის ნახვა. სთხოვეთ მოსწავლეებს, დაასახელონ სიტუაციები, სადაც შეიძლება ქართული ცეკვის ნახვა (რესტორანში, ქორწილში, კონცერტზე...)

5. დაწერეთ დაფაზე „წვეულებაზე ცეკვა“, კიდევ ერთხელ აჩვენეთ მოსწავლეებს შესაბამისი ნახატი. დაფაზე გააკეთეთ „ასოციაციების ზღარბი“, წაახალისეთ მოსწავლეები, გამოხატონ „წვეულებაზე ცეკვასთან“ დაკავშირებული ასოციაციები.

6. ახსენით, რომ სამივე განხილულ შემთხვევაში საუბარია ერთ მოქმედებაზე - ცეკვაზე. აჩვენეთ, რა განსხვავებულ დატვირთვას იძენს მოქმედება ცეკვა განსხვავებულ სიტუაციებში, როგორ იცვლება ასოციაციები და წარმოდგენები მასზე კონტექსტის მიხედვით.

კითხვის პროცესის წარმართვის სტრატეგია:

ხმამაღლა კითხვა, წინადადებაში ფრაზების გაგრძელებით კითხვა, ჯგუფებში ხმადაბლა, „ზუზუნით კითხვა“.

1.	ეცადეთ, კითხვის პროცესი არ იყოს მოსწავლეებისათვის მომაბეზრებელი და დამღლელი. შეცადეთ, კითხვის პერიოდში აქტივობები მონაცვლეობით ჩართოთ. ეცადეთ, თავიდან აირიდოთ მონოტონური კითხვა. წაუკითხეთ ხმამაღლა ფრაზა „მე მომწონს“, აჩვენეთ მას შესაბამისი იდეოგრამა. ფრაზის დასრულება სთხოვეთ რომელიმე მოსწავლეს. წაახალისეთ, ხმამაღლა წაიკითხოს ფრაზა წიგნიდან (მაგ. მე მომწონს.... - აჩვენეთ იდეოგრამა).... ბურთის თამაში (კითხულობს მოსწავლე). ტექსტის კარგად გაგებისათვის აჩვენეთ ბურთის თამაშის ამსახველი პიქტოგრამაც;
2.	კიდევ ერთხელ წაიკითხეთ წინადადება „მე მომწონს ბურთის თამაში“ ხმამაღლა და მეტი თვალსაჩინოებისათვისა დაფაზე გააკარით შესაბამისი პიქტოგრამები თანმიმდევრობით;
3.	მიუბრუნდით ტექსტს, შეცვალეთ კითხვის სტრატეგია. დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად. აუხსენით, ნებისმიერი თქვენ მიერ მითითებული წინადადებაწინადადებები წაიკითხონ ჯგუფში ხმადაბლა. თითოეულ ჯგუფს მიეცით თითო წინადადება წასაკითხად. მათ შეუძლიათ იზუზუნონ, უჩურჩულონ, ერთმანეთში გაცვალონ აზრი იმის შესახებ, რაც წაიკითხეს.ამ აქტივობისათვის მიეცით 2-3 წუთი. სთხოვეთ ჯგუფიდან აირჩიონ პრეზენტატორი, რომელიც მთელი ჯგუფის სახელით წაიკითხავს მითითებულ წინადადებას ხმამაღლა. მომდევნო 3 წუთის განმავლობაში განიხილეთ და იმსჯელეთ მოსწავლეებთან ერთად წაკითხული წინადადებების შესახებ.
4.	დააკვირდით კითხვის პროცესს. დარწმუნდით, რომ მოსწავლემ ბოლომდე წაიკითხა ტექსტი. წაახალისეთ თითოეული მოსწავლე, რომ მალე წაიკითხოს ტექსტი და კიდევ ერთხელ გადაავლოს თვალი მას. შეამზადეთ ისინი კითხვის შემდგომი სახალისო აქტივობისათვის.

კითხვის შემდგომი აქტივობები

1. კლასი დაყავით ჯგუფებად. სთხოვეთ, თითოეული ჯგუფი შეიკრიბოს ერთი მაგიდის ირგვლივ. მაგიდაზე დააწყვეთ წინასწარ გამზადებული ბარათები, რომლებზეც ტექსტში ნასწავლი უცხო სიტყვები იქნება დაწერილი. მაგიდაზე დააწყვეთ აგრეთვე ბარათები პიქტოგრამებისა და იდეოგრამების გამოსახულებით. კარგად აურიეთ ბარათები ყველა ჯგუფთან. აუხსენით, რომ ეს არის თამაში კითხვის შემდეგ. გააცანით თამაშის წესები:

1) სწრაფად წაიკითხონ ბარათზე დაწერილი სიტყვები, გამოიცნონ პიქტოგრამები/იდეოგრამები;

2) გაიხსენონ ტექსტი და და შეუსაბამონ სიტყვები პიქტოგრამებს/ იდეოგრამებს;

3) აჩვენეთ სანიმუშოდ მაგალითი: +

1. ბარათების დასალაგებლად მიეცით 5 წუთი. თამაშის დროს შეუძლიათ ისაუბრონ ხმადაბლა, ისე , რომ სხვა ჯგუფს მუშაობაში ხელი არ შეუშალონ. ურჩიეთ, მაგიდაზე მწკრივებად დააწყონ ბარათებით შედგენილი „ტექსტი“;

2. თამაშის დასრულების შემდეგ ნახეთ ყველა ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაო. თითოეული ჯგუფიდან არჩეულ პრეზენტატორს ხმამაღლა წააკითხეთ ის „ტექსტი“, რომელიც მათ ბარათებით შეადგინეს;

3. თამაშის დასრულების შემდეგ, 5 წუთის განმავლობაში იმსჯელეთ თამაშის შესახებ: მოეწონათ თუ არა, ეყოთ თუ არა მიცემული დრო თამაშისათვის და ა.შ... წაახალისეთ, გამოთქვან საკუთარი აზრი, საკუთარი სურვილები, რომ შედგომში ტექსტის კითხვა უფრო საინტერესო და მოსწავლეებისათვის სახალისო აქტივობად აქციოთ, გარდა ამისა, საკუთარი მოწონებისა და სურვილების გამოთქმის დასწავლა ხომ აღნიშნული ტექსტის მიზანი იყო.

რეფლექსია გაგების უნართან დაკავშირებით

1. **დისკუსია:** ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა დაეხმარათ მათ ტექსტის გაგებაში/აღქმაში?

საშინაო დავალება:

დაავალეთ მოსწავლეებს სახლში, მშობლებთან, და-ძმასთან, მეგობართან ან მომვლელთან ერთად წაიკითხონ ტექსტი. ურჩიეთ, იმსჯელონ საკუთარი სიმპატიების გამოხატვის შესახებ, დასვან კითხვები და შეადარონ პარტნიორის პასუხი საკუთარ პასუხს.

უნარების შემოწმება

სადისკუსიო ბარათები სწავლების დამატებითი აქტივობაა. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ვარიანტი, როგორ შეიძლება გამოიყენოთ სადისკუსიო ბარათები მოსწავლეებთან.

1. ბარათები გამოიყენეთ ლიტერატურული წრის შესაკრავად.
2. ბარათები შეიძლება გამოიყენოთ წიგნის კითხვის დაწყებამდეც. მოსწავლე ირჩევს ერთ-ერთ ბარათს, სადაც წერია კითხვა, ან გამოსახულია პიქტოგრამა, რომელიც უნდა ახსნას ან იმსჯელოს მასზე.
3. ბარათები გამოიყენეთ თამაშისთვის.

მოსწავლეთა მონიტორინგი, რა შეუძლიათ მათ...

1. დისკუსიებში ან სამუშაო ფურცლებზე საკუთარი სიმპატიების/ სურვილების გამოხატვა/ ფორმულირება;
2. დისკუსიებში და სამუშაო ფურცლებზე ტექსტის მთავარი იდეის იდენტიფიცირება;

3. თამაშის დროს „მე მომწონს“ ფრაზის მომდევნო ლექსიკურ ერთეულებთან/ლექსიკურ ერთეულთა ჯგუფებთან დაკავშირება;
4. თამაშის დროს პიქტოგრამებისა და იდეოგრამების იდენტიფიცირება.